№ 266
ხუთშაბათი, 9 დეკემბერი 1893

1877—1893

# ივერია

№ 266
ხუთშაბათი, 9 დეკემბერი 1893

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად:
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## „ივერია“

გამოვა 1894 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

—

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

### წლიური საზოგადო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების მე 11 §-ისა, დანიშნულია ქრისტეშობისთვის 19, დილის 10 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა, ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1 ენკენისთვითგან 1892 წ. 1 ენკენისთვემდე 1893 წლისა, ბ, მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ $18^{93}/_{94}$ წლისა ივის, გ, მოხსენება სარევიზიო კომისიისა წარსულის $18^{91}/^{92}$ წლის ანგარიშის შესახებ, დ, მოხსენება გამგეობისა საზოგადოების საქმეთა წარმოების შესახებ, და ე, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

(4—3)

### ტფილისი, 9 დეკემბერს

—

კონდუქტორის ქიქოძის საქმე, რომელიც მთავარ-მართებლის განკარგულებით გადაცემული ჰქონდა სამხედრო სამსჯავროს, უკვე გადაწყდა.

სამსჯავრომ მიუსაჯა ქიქოძეს სიკვდილი.

გუშინ წინ, 6 ამ თვეს, კაპიტანმა კოვალიევმა, რომელიც ქიქოძის დამცველად იყო,—საჩივარი შეიტანა უმაღლესს სამხედრო ინსტანციაში და ამტკიცებს, რომ მთავარ მართებელმა აღამატა მინიჭებულს მისდამი უფლებას. სამხედრო სამართალს ექვემდებარებიან მხოლოდ ისინი, რომელთაც დანაშაულობა მიუძღვით 13 სექტემბრის შემდეგ, ე. ი. იმ რიცხვის შემდეგ, როდესაც ხელმწიფის ბრძანება გამოცხადდა, რომელიც უფლებას აძლევს მთავარ-მართებელს სამხედრო სამართალში მისცეს მხოლოდ კავკასიის მკვიდრნი. ამიტომაც ეს კანონი ქიქოძის შესახებ ვერ იქმნება ხმარებული და მისი საქმე სამოქალაქო სამსჯავრომ უნდა გაარჩიოსო.

ჩვენ არ ვიცით, როგორის თვალით შეჰხედავს უმაღლესი სამხედრო სამსჯავრო დამცველის შუამდგომლობას, მაგრამ რაც უნდა მსჯავრი დასდონ ამ საქმეს, იმედია, მთავარ-მართებელი შესცვლის მძიმე სასჯელს და ახალგაზრდა კაცს, ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსეს, მისცემს შემთხვევას მოინანოს საშინელი ცოდვა ხანგრძლივის სასჯელით.

მაგრამ უბედურება მოხდა, ღვინისაგან აღგზნებულმა და გაფიცხებულმა ქიქოძემ თავი ვერ შეიკავა, გადათელა ძველი და ახალი აღთქმა, რომელიც ამბობს: „არა კაც ჰკლა“.—ასეთი საქციელი დამნაშავისა მძიმეა და, მაშასადამე, პასუხის-გებაც საშინელი უნდა იყოს. ჩვენ მხოლოდ იმ საბუთებით ვსჯით ქიქოძის დანაშაულს, რაც გაზეთებმა გვაუწყეს, სხვა წყარო არა გვაქვს. მაგრამ სწორედ ამ შემთხვევაში არის საჭირო და სანატრელი სათნოებისა და შენდობის გამოჩენა. სამაგიეროს მიზღვევა: მახვილისთვის—მახვილი და სისხლისთვის—სისხლი, ვერაოდეს ვერ გაასწორებს ადამიანის ბუნებას და, რასაკვირველია, ვერც ხალხზედ იქონიებს სასურველს გავლენას. ერთად-ერთი სწორი გზის-მაჩვენებელი, ამმაღლებელი კაცის გრძნობისა და მხსნელი სულისა—არის ჯვარი და სახარება. მხოლოდ ამ ქრისტეს მცნების ემბლემათა წყალობით შესაძლოა განდევნოს კანონმა და სახელმწიფომ ადამიანის ბუნებისაგან ის მ ხ ე ც ი, რომელიც ბევრად თუ ცოტად ყოველის კაცის ბუნებაში ბინადრობს.

მეთვრამეტე საუკუნემ უარ-ჰყო და განაძევა წვალება დამნაშავეთა; მეცხრამეტე საუკუნეს დარჩენია მოსპოს სიკვდილით დასჯა.

რა ზომამდეც კანონი უფრო ლმობიერია და შემბრალებელი რომელსამე ქვეყანაში, იმოდენად მეტი საფუძველი აქვს ამ ქვეყანას, თავი მოიწონოს იმითი, რომ იგი ნამდვილ განათლების გზას ადგას.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, სრულიად ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ კანონი სუსტი იყოს, და საზოგადოების წევრთ ნება ჰქონდეთ აღვირ-ახსნილი აადელვონ და შეაძრწუნონ ქვეყანა თავისის საქციელით; ასეთის აზრისაგან ღმერთმა დაგვიფაროს. უფლება მტკიცე, ძლიერი და სავალდებულო წესი, უთუოდ საჭიროა, მაგრამ ყოველსავე ამას, როგორც ზევითა ვსთქვით, სარჩულად უნდა ჰქონდეს ლმობიერება და სიყვარული.

რაც ადამიანი უფრო მაღლა სდგას, მით უფრო უდიდესი მოვალეობა აწევს, რათა ეცადოს მაცხოვრის მცნების აღსრულებას, რომელიც ყოველთვის და ყოველგან სათნოებასა და სიბრალულს ჰქადაგებს.

იმედი გვაქვს, რომ თუ მეცადინეობა ქიქოძის დამცველისა შეწყნარებულ არ იქნა უმაღლესის სამხედრო სამსჯავროს მიერ, მთავარ-მმართებელი მაინც თავისის საკუთარის უფლებით აგვაშორებს დავინახოთ საზარელი სარჩობელას ბოძი.

მეველე

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ, 8 დეკემბერს, ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

*** მეტეხის საპატიმროში ეს ერთი ხანია შემოღებულია სხვა-და-სხვა ხელობათა სწავლება და წარმოება. ამ ჟამად აქ გამართულია ჩინებული სტამბა.

ამ მოკლე ხანში ამ სტამბისათვის უნდოთ შეიძინონ ქართულ-სომხურისა და თათრულის ენის ბეჭდვისათვის ასოები, რომ ამ ენებზედაც შესძლონ საქმის აღება; დღემდე მხოლოდ რუსულს ენაზედა ჰქონდათ.

აქვე, ამ საპატიმროში, მშვენივრად გამართული სამრეცხველოა, სადაც ქალაქის მცხოვრებთ შეუძლიანთ შეუკვეთონ ყოველ გვარის თეთრეულის რეცხვა. ამისათვის გამართულია ცალკე ეტლი, რომელიც მსურველთან მოვა, თეთრეულს ჩაიბარებს, სამრეცხველოში მიიტანს, აქ დარეცხენ, დააუთოებენ და მერე ისევ ბინაზედ მიუტანენ პატრონს. ყველა გვარ თეთრეულისათვის ერთხელვე გარდაწყვეტილი ფასია დანიშნული.

დირექტორი ქალაქის საპატიმროების კომიტეტისა ნ. ა-ძე დევდორიანი ყოველს ღონისძიებას ხმარობს აქ მოწყობილ სახელოსნოების გასაუმჯობესებლად. ამ დღეებში ბ-ნი დევდორიანი კიდეც გაემგზავრა პეტერბურგს და უნდა წარუდგინოს უმაღლესს მთავრობას საპატიმართა კომიტეტის მოხსენება, რომ ტფილისის გუბერნიაში საპატიმროებს შეკეთე'ა უნდა, რომ თვით ამ საპატიმროთა და აგრეთვე პატიმართა

## ფელეტონი

—

### შავი-ქვის ამბავი

(დასასრული *)

რაც შეეხება იმას, რომ შავიქვა აბიხმა გამოაჩინაო, მართალია, აბიხს ოდესმე გაკვრით მოუხსენებია, რომ იმერეთში მანგანეზი არისო, მაგრამ ვინ იცოდა რაღაცა მისი ნემეცური ბროშიურა? და რომ კიდეც სცოდნოდა, რა გამოვიდოდა? აბიხი იმას ხომ არ ამბობდა, თუ, ეს მანგანეზია, თუ რაღაც ჯანდაბა, რაშია გამოსადეგი და ან რა სასარგებლოა? ის ასახელებს მხოლოდ როგორც მინერალს ერთად სხვა მინერალებთან. მაგალითად: სიენიციო, გნეისიო, კონგლო-მერატიო, მერგელიო, ბაზალტიო, დოლორიტიო, ანამეზიტიო და სხვანი. ასახელებს მხოლოდ და მათ ვინაობასა და სარგებლობაზედ არაფერს ამბობს. და მაშ ვინ გაიგოს ეს სიტყვები რას ჰნიშნავენ: შილაფლავს, ბოზბაშს, ტაფა-მწვარს, თუ სხვა რამეს?.. ამას განა გამოჩენა ჰქვიან *)? და ამითი უნდა ბ-ნს დეკანოზიშვილს, რომ ჩემი ღვაწლი გააქარწყლოს ქვეყნის თვალში? რა ვუყოთ, რომ აბიხს სცოდნია? ისე ხომ ჩვენმა ხალხმაც იცოდა უხსოვარის დროიდგან, მაგრამ მანგანეზის მაგიერად ქვა-გუნდს ეძახდა.

რომაელებისა და ბერძნების მწერლები ქრისტეს წინადაც-კი უჩვენებენ კოლხიდაში, ალბანიაში და იბერიაში, ე. ი. ჩვენს ქვეყანაში, სხვა-და-სხვა მადნეულობას. მაგრამ დღემდისაც ისევ იქვე არიან ის ლითონები და ზედაც არავინ უყურებს. მაგალითად, ავიღოთ გინდ წედისის რკინის მადანი.—დღეს რომ ერთს მათგანს ხელი მიჰყოს ვინმემ, საქმე დაიწყოს და ფეხზედ დააყენოს მისი წარმოება, ნუ თუ ჩვენ იმას კიჟინა უნდა დავსცეთ და ვუთხრათ: შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ!.. შენ რა გამოგიჩენია? ეგ ხომ სტრაბონმაც იცოდა, ჰეროდოტი იხსენიებს და პლინიოსი გვითითებს? და სხვანი. ეს განა სამართლიანი სიტყვა იქმნება?!.. სწორეთ ასე იქცევა ჩემ შესახებაც მთა-მადნის ინჟენერი ბ-ნი დეკანოზიშვილი!.. ეტყობა, რომ იმას ვრცლად არ ესმის სიტყვა «გამოჩენა» და ამიტომაც გაჰკვირვებია ბ-ნ დ. ბაქრაძის წერილი!

ჩვენს ქვეყანაში ერთი საზიზღარი სენია, რომელსაც გულ-გატეხილობა ჰქვიან, ახალს საქმეს ყველანი ერიდება; არა თუ თითონ არავინ კისრულობს, სხვა თუ ვინმე დაინახეს ათასში ერთი, რომ რაღაცას გაკეთებას სცდილობსო, მაშინვე კიჟინას დააყრიან და, თუ საქმით ვერა, სიტყვით მაინც, ეცდებიან ხელის შეშლას. და როდესაც კეთილად დაბოლოებულს დაინახავენ იმ საქმეს, მაშინ-კი თვითონაც მოინდომებენ იმის ხელში ჩაგდებას, ან ძალ-მომრეობით ან სასამართლოს ხრიკებით და ან მათხოვრობით. ცხადია, რომ შეძენის სურვილი აქვთ, მაგრამ გზები არ იციან და გულ-გატეხილობაც ხელს უშლით. დღემდისაც ვერ წარმოუდგენია ჩვენს ხალხს, თუ პატიოსნურად, სხვების დაუზარალებლად, რამეს შეძენა მოსახერხებელია. მდიდარი, ვინც უნდა იყოს, მათ თვალში პატივ-საცემია! საშუალებას არ არჩევენ; ჰხედავენ შეძლებულს, გინდ ავაზაკობითა და ცუდ-კაცობითაც შეეძინოს ქონება, და მორჩილად ეთაყვანებიან, ჭკვიანად სთვლიან და მისი სიცრუე-სითაღლითე სჯერათ, მაშინ, როდესაც ღარიბებს-კი სული სხვა გვარად ექცევიან. ეს არც ბოროტებითა და არცა უგუნურებით, გაუკებრობით არ მოსდის ჩვენს ხალხს.—ისე როგორღაც უნებურად, თითქოს რაღაც მანქანებას გიპნოტიზმურად გაულავს, შეუგონებიაო: საჭირო არის, რომ ამ სენს ბოლო მოეღოს. შეგნებული ნაწილი ჩვენის ხალხისა, ინტელიგენცია, ვალდებულია, რომ ამხილოს ხალხს მისი შეცდომა, კიჟინა დასცეს და ჩააგდოს გულისხმაში.

მაგრამ ამის ნაცვლად ჩვენ რასა ვხედავთ? ზოგიერთი ინტელიგენტები პირიქით ბანს აძლევენ ხალხის სამწუხარო ჩვეულებას და მით თავიც მოაქვსთ. მაგალითად ავიღოთ გინდ ეს შავი-ქვის ამბავი: ცამეტი წელიწადი საცინლად მიგდებდნენ, ხელს მიშლიდნენ, არ სჯეროდათ, ცრუსა და მატყუარს მეძახდნენ, სახალხოდ, და როდესაც ყოვლისფერი გამართლდა, მაშინ-კი, თითქოს არაფერი ამბავიაო, გადააფუჩეჩეს. ადამიანობა მოითხოვდა, რომ ჩაეხედნათ თავის გულში და ეთქვათ: „რას ვერჩოდით იმ კაცს? თურმე მართალი ყოფილა, რასაც ამბობდა, რასაც აკეთებდა. თავი შემოგვწირა და ჩვენ-კი უმართლოდ ვეკიდებოდით, ხელს ვუშლიდითო“, და სხვანი... არა! დღესაც ამის მაგიერ კიდევ სხვა რამეს გაიძახიან! «რა მისი საქმე იყო შავი-ქვა და მისი წარმოებაო? პოეტებს რა გაეგებათ პრაქტიკულის საქმისა? თითონ დაიღუპა და სხვები-კი გაკეთდნენო».—ამას არა თუ უბრალო ხალხი, ის ინტელიგენტებიც-კი ბრძანებენ, რომელნიც ადრე დამცინოდნენ და დღეს-კი თითონ კარგა ლამაზად ეტანებიან შავ-ქვას და უსარგებლოთაც არ რჩე-

---

*) იხ. „ივერია“, № 165.

*) ბაცევიჩსა და საროკინს რომ ასახელებს ბ-ნი დეკანოზიშვილი, იმათ გამოიკვლიესო, რატომ იმას-კი აღარ ამბობს, რომ იმათ გამოიკვლიეს მაშინ, როდესაც წარმოებაც-კი იყო დაწყებული შავი-ქვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა ცალკე ინსპექცია, ზედამხედველობა დაინიშნოსო.

*** „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ სტამბაში იბეჭდება ახლად დაარსებულ ქართულ ყოველთვიურ ჟურნალ „მოამბის“ 1 №. უკვე ორი თაბახი მზათაა. ეტყობა რედაქტორი და გამომცემელი ცდილობენ ამდენს ხანს უჟურნალოდ დარჩენილ ქართველ საზოგადოებას მიაწოდონ მეტად ლაზათიანი გამოცემა, როგორც შინაარსით, ისე გარეგნობით. იმედი აქვსთ ხელისმომწერთ საახალწლოდ მართლა-და ამ სასურველის მისალოცით მიულოცონ. ხელისმოწერაც კარგად მიდის თურმე.

*** საკვირველია ჩვენის ქალაქის ბედ-იღბლის გამგეთა უყურადღებობა და გულგრილობა მკვიდრთა ინტერესებისადმი. მაგალითისათვის შორს წასვლა საჭირო არ არის. მიბრძანდით მეორე გონჩარნის ქუჩაზე და თქვენის ბედნიერის თვალებითა ნახავთ, რაც დღეშიც ამ უბნის მკვიდრნი არიან. მხოლოდ ეს ერთი თვეა, რაც ქალაქმა ამ ქუჩაზე წყლის მილები გაიყვანა. მაგრამ რაღაც ცუდ ვარსკვლავზე შეიქმნა ეს მილები დაბადებული. დაარსებთგანვე ერთი დღე არ გამორეულა ისეთი, რომ დაუზიანებელი არ ყოფილიყო. წყალი შეუწყვეტლივ გამოდის; ასე იტყვით წარღვნა არისო, ისე არის წყალით დაფარული აქაურობა; გამოულეველ ტლაპოსაგან ხომ ყოვლად შეუძლებელია ზედ გავლა ისე, რომ ცხრა ალაგას კისერი არ მოიტეხოს ადამიანმა. ზამთარია-და ურმით შეშა ვერ ამოუტანიათ ამავე ტალახისა და უგზოობის მიზეზით.

*** საგუბერნიო მართველობამ ამას წინად გარდასწყვიტა, რომ სადგურის ხარჯი სამხედრო მოსამსახურეთა უნდა აძლიოს ქალაქის გამგეობამ თავის შეძლებიდგანაო. აქამდე ქალაქს ეხარჯებოდა ზოგიერთ სამხედრო ჯარებისათვის ამ საგანზედ ოთხ ათას თუმნამდე, ხოლო ამას იქით, უკეთუ ალნიშნული გარდაწყვეტილება ძალაში მოვიდოდა, ქალაქს უნდა ეძლივნა წელიწადში თითქმის თორმეტი ათასი თუმანი. საგუბერნიო მართველობამ კიდეც გაუგზავნა ქალაქის გამგეობას სია იმ ჯარის-კაცთა, რომელთაც უნდა ეღოთ სადგურის ქირა. გამგეობამ ხსენებული სია უკანვე დაუბრუნა საგუბერნიო მართველობას და მისწერა, რომ ეგ ფული უნდა აძლიოს, თანხმად ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებისა, საგუბერნიო მართველობამ, რადგან ხსენებულს ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ სადგურის ქირა უნდა ეძლეოდეს 1893 წელს საერო ფულითგანაო. ამ საგნის შესახებ შეიქმნა მიწერ-მოწერა პეტერბურგთან, საიდამაც ბ-ნს მთავარმართებელს სამინისტრო სწერს, რომ ქალაქის გამგეობა არ არის მოვალე გასწიოს ახალი ხარჯიო. ამ სახით ჯარის კაცები სადგურის ქირის ფულს კვლავ საგუბერნიო გამგეობიდგან მიიღებენ.

*** სომეხთა ეკკლესიის კონსისტორიამ მისწერა ქალაქის გამგეობას ქაღალდი და სთხოვა სატეხნიკო დახმარება დროებითის ხიდის გასაკეთებლად სანათლისღებოდ. გამგეობამ დაავალა თავის ინჟენერს გამოძიება, რომელ ადგილს როგორი ხიდი უნდა გაკეთდეს და რა ეღირება მისი აშენებაო. ინჟენერმა გამოიკვლია, უჩვენა ადგილიც, ზომაც ხიდისა და ფასიც. აღმოჩნდა, რომ ხიდი ეღირება სულ ოცდა ათი თუმანი. გამგეობამ მისწერა კონსისტორიას, რომ უკეთუ იგი, კონსისტორია, გაიღებს ხსენებულს ხარჯს, მაშინ გამგეობა ჩააბარებს ხიდის აშენებას თავის ტეხნიკებს უსასყიდლოდ. კონსისტორიას არ მოსწონებია არც ინჟენერის მიერ არჩეული ადგილი და არც ხიდი. ეხლა სთხოვს გამგეობას, რომ ხელახლად გამოიკვლიონ ტეხნიკებმა ადგილი პაპკოვის წისქვილს ქვემოდ და შეადგინონ ხარჯთა აღრიცხვა ცოტა უკეთესის ხიდისა.

*** ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ქალაქიდამ თიანეთზე ეხლა ფოსტის მიმოსვლა დაწესდა, და კვირაში ორჯელ მიმოდის ამ ორ ადგილს შუა ფოსტა. პირველი სადგური ქალაქიდამ უნდა გამართულიყო სოფ. მამკოდაში, გლდანს ზემოდ; ამისათვის მოურიგდნენ კიდეც ერთს მეიჯარადრეს ფოსტის ეტლებისას იმ პირობით, რომ წასრულის ივნისის თთვისათვის დაემზადებინა სადგომი სახლი მამკოდაში; მინამდე-კი დროებით სოფ. გლდანში გამართეს ფოსტის სადგური.

მეიჯარადრემ პირობა არ აასრულა, ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს ქაღალდი მისცა და გამოუცხადა, რომ პირობის ძალით სადგურის სახლი არ ავაგე სოფ. მამკოდაში იმიტომ, რომ ცხენებისათვის წყალის შოვნა ძლიერ გაჭირდებაო, რადგან ახლო-მახლო არ არის ესეთი ადგილებიო და მეორეც იმიტომ, რომ თვით მომკოდა ციებიანი ადგილიაო: სადგური ისევ სოფ. გლდანში ამჯობინებსო.

ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ეხლა ეკითხება ტფილისის გუბერნატორსა და სთხოვს, გვაცნობეთ, მართლა შესაწყნარებელია ასეთი საბუთები მეიჯარადრისა, თუ არაო და ბ-ნი ბოგუცკი იმასა უმატებს, რომ ჩემის მხრით დაბრკოლება ა არა ვხედავ, რომ სადგური სოფ. მამკოდას მაგიერ სოფ. გლდანში გაიმართოსო. გუბერნატორი ამის შესახებ ტფილისის მაზრის უფროსს თავ. ჯანდიერს დაეკითხა და ამ უკანასკნელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ გლდანში ბევრად უფრო ემჯობინება საფოსტო სადგურის გამართვა, ვიდრე სოფ. მამკოდაშიო.

*** გურია: ნაგომრის ხიდი-კი გაკეთდა მთავრობის განკარგულებით, მაგრამ, როგორც გვესმის, სასურველის სიმკვიდრით არ არის გაკეთებულიო. უმთავრესი საქმე ის იყო, რომ ბურჯები ღრმად მსხდარიყო წყალში, ესე ორ-არშინ ნახევარზე, და, რა-კი ეს ასე არ არის, შესაძლოა ხიდი მალე გაფუჭდეს და ან უბედურება რამ დატრიალდეს. სასურველია, რომ ხიდს ყურადღებით გასინჯავდნენ, ვისიც ჯერ არს, და ისე ჩაიბარებდნენ.

*** ჩვენის მხრის რკინის გზის საკომერციო ნაწილის სარევიზიოდ პეტერბურგიდგან ჩამოსულია გზათა სამინისტროს მოხელე ბ-ნი სტროგილოვი, რომელიც ამას წინად ქუთაისში გაემგზავრა, და ამ დღეებში ისევ ქალაქს მოელიან.

## დამაკვირდი

—

ქვეყნად არშიყი უფრო ბევრია, ვიდრე შეყვარებული.

ცაფირის ლექსიკ.

**

ქვეყნიერების ყოველ ერს შორის უფრო სასიამოვნო სიზმარი ცხოვრებისა ბერძნებსა ჰქონდათ.

გეტე.

**

თავისუფლებას მოკლებული კაცი მკვდარია.

ჟ. ჟ. რუსსო.

## ხმა სამარიდამ.

ხმალი გალესე, ძმობილო,
მტერი გადმოდგა მთაზედა:
აგვიოხრებენ ქვეყანას,
დაგვეცემიან თავზედა.
გალესე, ისე გალესე,
პირს იკიდებდეს თმაზედა.
მადლია, კიდევ ეღირსოს
გორდას მტრის სისხლი ფხაზედა!
აგერ მოდიან წყეულნი
მწყობრად, უშიშრად გზაზედა.
საცაა თოფი, იჭექებს
კვამლი შაჯდება კვამლზედა...
აგვიოხრებენ ქვეყანას,
დას იტირებენ ძმაზედა!..
გალესე, კარგად გალესე,
არ ილეოდეს ძვალზედა.
უფლის კურთხევა ანთია
სამშობლოს მცველის ფარზედა...
თამარ-დედოფლის ნაკოცნი
ბეჭდად უსვია ხმალზედა.
მხნედ იყავ, ძმაო, ნუ ჰკრთები
ნეტავ ჰყოყმანობ რაზედა?
ერთხელ სჯობია სიკვდილი
შავს ყოფნას ქვეყანაზედა!
გული მეც მერჯის და რა ვქნა,—
ვარ ცარიელი ძვალები.
მიწისგან შებოჭილი მაქვს
ღონე მიხდილი მკლავები,
სული ღმერთთანა,—იქ, სადაც
ბრწყინვენ ციური ძალები.
ხსოვნა-კი ჩემის ქვეყნისა
აქვე, ჩემთანა ჰმარხია.
მუდამ თვალებ წინ მიელავს
ჩემის სამშობლოს სახეა.
არ დაივიწყებს ივერთა
თქვენი პატარა კახია.

ვაჟა-ფშაველა.

## კორესპონდენცია

—

**სოფელი მუხსი.** (ახალციხის მაზრა), დეკემბრის 1-ს. ოდესმე ეს პატარა სოფელი ისრე მიყრუებული, მივიწყებული იყო უგზო-უკლობისაგან, რომ უცხო კაცი ამ სოფელს ძნელად მოხვდებოდა. ახალციხიდგან ცამეტის ვერსის მანძილზეა, მტკვრის მარცხენა მხარეს, ახალციხ-ახალქალაქის სახელმწიფო გზის პირდაპირ. მუსხმა ყურადღება მიიქცია, როგორც მთავრობისა, ისრე მთელის მაზრისა მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში, როცა აქ ბოქაულად ნამყოფმა ანდრონიკაშვილმა სოფელ მუსხზედ ახალციხე-ახალქალაქის საფოსტო გზიდგან კარგი მშვენიერი საეტლო გზა-ტკეცილი გააყვანინა ხალხს, ურავლის მადანის წყლებამდისინ, და როცა ამ გზის საქმე მაშინ დაგვირგვინდა, რო მტკვარზედ კარგი ხიდი ააშენებინა, ზოგი შეწირულებით და ზოგიც ხალხის დახმარებით. კარგი დრო იყო ის დრო, როდესაც ეს ხიდი აშენდა მტკვარზედ და ეტლებმა დაიწყეს სიარული ზაფხულობით მუსხზედ ურავლის წყლებისკენ!.. მაშინ დაარსდა აქ სკოლაც (1890 წ.)

ამ ხიდმაც და გზამაც დიდი სარგებლობა მოუტანა მკვიდრთ, რომელთაც დაიწყეს თავისუფალი მისვლა-მოსვლა ახალციხესა და სხვა სოფელ-ქალაქებში, სადაც ყოველთვის მიჰქონდათ სოფლის ნაწარმოები გასასაღებლად ყოვლად უშიშრად და უწვალებლივ. სოფლელებმა დაიწყეს ზიდვა შორის ტყეებიდგან ხე-ტყესიცა. ერთის სიტყვით, ეს გზა-ხიდი შეიქმნა მუხსელებისთვის დიდ საუნჯედ, მაგრამ შარშანწინ ამ ხიდს დიდმა წყლობამ ბოლო მოუღო და დარჩა მუსხი ისევ ბეჩავად, როგორც იყო ამ ოთხი-ხუთის წლის წინად. საჭირო და ძალიან აუცილებელი საჭირო იყო ამ ადგილას კვლავ ხიდის გაკეთება, მაგრამ დღემდე ვერას გზით ვერ მოხერხდა. ეხლა-კი, ურავლის ბოქაულმა ბ-ნმა ი. გ—ლმა დაიყოლია ხალხი, რომელიც უკვე შეუდგა ხიდის კეთებას.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ ხიდის გაკეთებისათვის დიდად მეცადინეობდნენ აქაური მამასახლისი მოსე

---

ბიან. ერთმა მათგანმა ამ ორის წლის წინად ჩემ შესახებ გასაკიცხავი სტატიაც დაბეჭდა, და სხვათა შორის, ამბობდა: „პოეტი ვარსკვლავებს უნდა შეჭიკჭიკობდეს და რა მისი საქმე იყო, რომ აკაკი წერეთელი, მადნეულის საქმეს გამოუდგაო. თავის-თავი დაიღუპა და სხვები გაკეთდნენო. ამით აკაკიმ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ანდაზაო: ხარაზი რომ ხაბაზობას დაიჩემებს, პური კუტი გამოუავო! ამ ვაჟბატონს რომ ტვინი გაენძრია, ჩაფიქრებულიყო ცოტა და ხალხის ფეხის ხმას არ აჰყოლოდა, ამ გვარ სისულელეს არ წამოროშავდა!.. როგორ? მე უტეხ-ტყეში შევედი, ახოავიღე, დავხანი, დავთესე, მოვმკე, გავლეწე, გავანიავე, დავფქვი და, როდესაც გამოცხვა, სხვებმა ჩემი კერძი პური ხელში გამომგლიჯეს, მაგრამ თითონ-კი ლამაზად შეექცნენ და მზა-მზარეულზე ლხინი გაჰმართეს და ახლა, ამ ჭკვიან ვაჟბატონის აზრით, გამოდის, რომ მე უმეცარი და უხერხული ვარ, და ისინი კი ჭკვიანი და პრაქტიკული კაცები!..

ეჰ, რა გაეწყობა!.. უმეცრება ძნელი ასალაგმავია!.. მაგრამ მე ის მაკვირვებს, რომ მეცნიერი მთა-მადნის ინჟენერი ბ-ნი დეკანოზიშვილი სხვებს აჰყოლია და ბანს აძლევს!..

„რუსები მერცენფელდს აწერენო, რომ ბრძანებს, სწორედ მართალია: აწერენ და თავიც ექებათ მითი. — წლიურ ანგარიშში სხვათა შორის მოხსენებული იყო აი რა: „ღარიბ ქუთაისის გუბერნიას ჩვენ მივეცით საზრდო ცხოვრებისა, მარგანეცის გამოჩენით და მისის წარმოებით, რომლის წყალობითაც თითქმის ორ მილიონამდე რჩება წლიურად ხელში.“ მაგრამ ეს მართალია და უნდა დავიჯეროთ.—ერთი დარბაისელი უცხოელი მელაპარაკებოდა რკინის გზაში და სხვათა შორის მითხრა: „უმადური იქნებით, რომ ჩვენი შრომა და ზრუნვა არ დაინახოთ და არ დააფასოთო: სხვა რომ არაიყოს რა, მარგანეცის წარმოებას მაინც შეხედეთ და იგულისხმეთო. და როდესაც მე ვუპასუხე, რომ ეგ საქმე საკუთრად ქართველის ნაკისრებია და მისი ნაშრომი-მეთქი, ხარხარი დაიწყო! „განა ქართველები ჯერ-ჯეროზით ჭამა-სმისა, „მრავალჟამიერისა“ და წარამარად ხანჯლის ტრიალის მეტს მოახერხებთ რასმეს, რომ შეიძლოთო“!.. ალბათ კარგი საქმე უნდა იყოს, რომ სხვები იჩემებენ და პირაქეთ კიდევაც გვამადლიან!.. და ჩვენ-კი, თითქო, ცუდი რამე იყოს, ვფარავთ, სხვებს ვაწერთ და როდესაც ზოგიერთები ამბობენ: „ეს საქმე ქართველის კაცის საქმეა; იმან ითავა და იმანვე დააბოლოვაო“, უმეტესობა კერპივით იძახის, არა, ტყულიაო და სხვანი...

უფრო სამწუხარო ის არის, რომ ინტელიგენტებიც-კი ურევიან იმ უარის-მყოფელებში!?.. და მით უფრო სასიამოვნოდ დამირჩა ბ-ნ დ. ბაქრაძის წერილი, გულ-წრფელი და წინდახედული.

დიახ, სასიამოვნოდ დამირჩა და არა მიტომ, რომ ის ჩემ თავმოყვარეობას ზეთსა სცხებდა.—სრულიადაც არა!.. მე იმ ხანში ვარ და იმ გარემოებაში ვდგევარ, რომ ჩემთვის პირადად სულ ერთია: სულ ბრძენთა ბრძენი რომ მიძახონ—არ დავიჯერებ და თავს მაღლა არ ავიღებ და სრულიად გამოტვინებულადაც რომ ჩამრიცხონ, არ შევშფოთდები და სულით არ დავეცემი. ჩემს თავმოყვარეობას ვერც ერთი ვერ დარევს ხელს... მაგრამ დღეს ჩვენ ვართ და ხვალ სხვები იქმნებიან!.. ძნელია ხალხის უსამართლობა... მოღვაწეს გულს უტეხს, მხნეობას უკარგავს და საზოგადო საქმისადმი აგულგრილებს!.. და მისთანა თანაგრძნობითი წერილები-კი, როგორიც იყო დ. ბაქრაძის წერილი, უსამართლოდ გატეხ ლ გულს უმთელებს კაცს და ახალისებს ახალ შრომისადმი!.. აი თუ რათ მესიამოვნა მე ის წერილი, რომელსაც საზოგადოის და არა კერძოს თვალით შევხედე:—იმ წერილმა ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ კაცმა გული არ უნდა გაიტეხოს:—სიმართლე და კარგი საქმე მაინც თავისას გაიტანს.

დასასრულ, ვერ დავფარავ, რომ ბ-ნ დეკანოზიშვილის სტატიამ მასიამოვნა. ეტყობა, რომ ის კაცი ჩვენთვის ოდესმე გამოსადეგი იქნება: ახალგაზდა როცა მოხუცს სწუნობს და დასცინის, სჩანს რომ იმას სურვილი აქვს მეტის გაკეთებისა და იმედი ალაპარაკებს!.. მე დარწმუნებული ვარ, ბ-ნი მთა-მადნის ინჟინერი დეკანოზიშვილი ერთ-ერთ მადნეულთაგანს, რომელიც ჩვენშია, მოჰკიდებს ხელს, არ დაერიდება არც შრომას, არც უფულობას, და არც ხალხის უთანაგრძნობლობას, დაიწყებს წარმოებას და ერთს დროს ფეხზე დაყენებულს ჩააბარებს ხალხს, ისე როგორც შავი ქვა ჩაბარდა. ეს მით უფრო ადვილი მოსახერხებელია და შესაძლებელი მისთვის, რომ ის ამ საქმეში მეცნიერია და სპეციალისტი!... გულ-წრფელად ვაღვიარებ, რომ ეს მჯერა მისგან... იმედია მალე გაებმის საქვეყნო, საზოგადო საქმეში და არ მიჰბაძავს იმ ვაჟბატონებს, რომელთაც ცალ ხელში დიპლომი უჭირავსთ, ცალი ხელი ოც რიცხვისაკენ გაუშვერიათ, რომ თვე და თვე თავის სუსტის შრომის მრავალ-კეცი სასყიდელი იჯიბონ და თანაც გაიძახიან: «ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადიო»!

აკაკი

ოქრომელიძე, სოფ. მუსხში მცხოვრებელი გიორგი მაისურაძე და სხვები. მადლობის ღირსნი არიან ის ტყის პატრონებიც, რომლებმაც ბ-ნ ი. გ—ს თხოვნით თავიანთ ტყიდგან დაუთმეს ხალხს საჭირო ხე-ტყე.

ეს ხიდი რომ მკვიდრად გაკეთდეს, ხალხს ყოველთვის შეუძლიან იაროს ეტლით ახალციხიდგან ურავლის წყლებამდისინ, რადგან გზაც მზადვე არის.

აქ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ახალციხედგან საფარის მონასტრის მხარეზედ ახალი გზა დაიწყეს და ეს გზა, როგორც ვიცით, ურავლისავე წყლებზედ გაჰყავთ; ამ ახალის გზის კეთებიდგან განთავისუფლებულები არიან სოფელ მუსხის მცხოვრებნი, ს. ლობიეთის თათრები, სოფ. ტობისა და სოფ. რუსთავის ქურთები, რადგან მუსხის ხიდის კეთება ამათა აქვთ დავალებული.

წრეულს აქეთ მხარეს (ახალციხის მაზრაში) მოსავალი მცირე იყო, რადგან სეტყვამ და ხანგრძლივმა გვალვამ ჰირნახულს ბოლო მოუღო ზაფხულშივე, რის გამო ხალხს უჭირს როგორც პური, ისე საქონლის საკვები. აქაურის მხრის ხალხი ამის გამო იძულებულია ჯავახელ სომხებს მისცეს საქონელი ფასით გამოსაკვებად; ესეც ადვილია, მაგრამ დალოცვილი სომხები თითო სულს 8—9 მანეთს ნაკლებ არ ინახვენ.

შემოდგომა ძრიელ დარზედ წავიდა, მეტადრე გიორგობისთვე და, ვნახოთ, როგორი ზამთარი დაგვიდგება!

აქაურს ქართველ-მაჰმადიანებს გული შეექნათ და ყოველ-დღე ოსმალეთში გადასახლების ფაცი ფუცში არიან; ჰყიდიან სახლ-კარს, ბაღებს, ბოსტნებს, მიწებს და საქონელს, მაგრამ ამ საწყლებს ის-კი არ ესმით, რომ ოსმალეთში უფრო გაუჭირდებათ ცხოვრება და ბოლოს ისევ აქეთ მხარეს მოსძებნიან, მაგრამ გვიან-ღა იქნება...

მუსხის სკ. მასწავ. ვ. კოპტონაშვილი

### ქართული სალიტერატურო საღამო

სამშაბათს, 7 დეკემბერს, ტფილისის სამუსიკო კრუჟოკის დარბაზში გამართული იყო „ქართული სალიტერატურო საღამო“, რათა ამ საღამოს შემოსავლით შეძენილ იქმნას სამუსიკო იარაღი სათავად-აზნაურო სასწავლებელში მუსიკის სწავლების შემოსაღებად.

საღამოზედ ქართულის თეატრის არტისტმა ბ-ნმა ალექსიევ-მესხიშვილმა რუსულს ენაზედ წაიკითხა გოგოლის „შეშლილის წერილები.“ წერილები საუცხოოდ იქმნა წაკითხული. მაგრამ არ გვესმის, რუსულად ეგ რად ამჯობინა არტისტმა ქართულს, როდესაც ეს „წერილები“ ქართულ სცენისთვისაც არის ნათარგმნი და, ამას გარდა, თითქმის მთელი დამსწრე საზოგადოება ქართველობა იყო?!. შემდეგ ლექსები წაიკითხეს ბ-ნ კ. ყიფიანმა „ადამიანი“ და „ალავერდი“, მამია გურიელისა. აკაკი წერეთელმა სამი თუ ოთხი საკუთარი, ჯერ დაუბეჭდელი, ლექსი წაიკითხა, რითაც სწორედ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. შემდეგ ბ-მა შათირიშვილმა კუპლეტი იმღერა; კნეინა ნინო ორბელიანმა ორი თავისი ლექსი სთქვა. და, დასასრულ, ქართულის სცენის არტისტებმა ვ. აბაშიძემ და გედევანიშვილმა ჩვეულებრივ მშვენივრად დაამღერეს სომხურს ტანისამოსით კუპლეტები „ვაი-ვაი“-ს ხმაზედ.

თითოეული მონაწილე აღტაცებაში მოსულმა საზოგადოებამ არა ერთხელ გამოიწვია სცენაზედ და დიდის ტაშის-კვრით დაუხვდა.

ის აზრი, რა აზრითაც საღამო იყო გამართული, იმდენად თანასაგრძნობია, რომ სალიტერატურო საღამოს სწორედ დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო, მეტადრე ქართველნი კეთილშობილნი, რომელნიც ისე გულ-ცივად ეკიდებიან ამ გვარს საღამოებს და ძვირნი სანახავნი არიან ქართულს საღამოებსა და სათეატრო წარმოდგენებზედ. სწორედ მოგახსენოთ, არ გვეგონა, თუ ტფილისში იმდენი ქართველი ყმაწვილ ქალობა იქნებოდა, რომელნიც სწორედ რომ ამშვენებდნენ კრუჟოკის დარბაზს.

სალიტერატურო ნაწილის შემდეგ გაიმართა ცეკვა, რომელიც ღამის ორს საათამდე განეგრძო. სამწუხაროდ, რუსულმა ხორომ მუსიკისამ-კი შესძლო ლეკურის დაკვრა, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ, ქართულს სალიტერატურო საღამოზედ თავმოყრილმა, ლეკურის თამაშის ცოდნა ვერ გამოიჩინა. ვალსსა და მაზურკას გატაცებული თაყვანის-მცემლები გამოუჩნდნენ მაშინ, როდესაც ჩვენი ეროვნული ცეკვა კუნჭულში იყო გამოუსადეგრად მიგდებული და არავის ყურადღებას არ იზიდავდა.

საღამოს შემოსავალი ხუთას მანათამდე იქნებოდა.

გარდახვეწილი

### წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ პატარა შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენის პატივ-ცემულის გაზეთის პირველსავე ნომერში.

პატარა ლიახვზე ხიდის გაკეთება მინდობილი ჰქონდა ცხინვალის ბოქაულს; მე მხოლოდ გარეშედ ვაძლევდი ხიდის გაკეთებაში შემწეობას ჩემდა რწმუნებულ თავად-აზნაურობის ტყიდგან უსასყიდლოდ გამოტანილ მასალით.

ხიდი გაკეთდა, მაგრამ ვერაფრად სანუგეშოდ: ხიდთან მისავლები (Насыпи) გაკეთებულია მხოლოდ უბრალო სიპის ქვით და ორივეს მხრით, ცხინვალის ბოქაულის განკარგულებით, ღრმადა აქვთ მოთხრილი თხრილები; ამ თხრილებში წყალი ჩამდგარა და ძირი გამოუთხრია აქედგან მისავალისათვის ამიტომაც ძალიან საშიშია, რომ მისავლები არ მოიმზღვლენ და არ იმსხვერპლონ მგზავრნი.

კარგი იქმნებოდა ყურადღება მიექციათ ამ გარემოებისათვის, ვისგანაც ჯერ-არს.

ივანე სულხანიშვილი

4 დეკემბერს 1893 წ.
ს. ტირძნისი.

### მინისტრის ეგზამენი

(„Figaro“-დგან)

— თქვენ მინისტრი ხართ?

— დიაღ. მინისტრი გახლავართ, შემთხვევის წყალობით.

— რაი არს მინისტრი?

— მსგავრი, რომელსაც ყველა სისულელეს ეკითხებიან.

— რა არის უპირველესი მოვალეობა მინისტრისა?

— რაც შეიძლება მეტ ხანს იყოს მინისტრად.

— რაი არს სამინისტროს დეკლარაცია.

— ქაღალდი, რომლითაც გსურს ყველანი მოვიმადლიეროთ.

— როგორ შეიძლება ეგა?

— გაუგებარ სიტყვების დაწერით, რომელთა ასე თუ ისე გაგება ყველას ნებაყოფლობაზეა.

— გვითხარით მაგალითი სამინისტროს დეკლარაციისა.

— ამ წუთას: საფრანგეთი... რესპუბლიკა... დაცვა წესიერებისა... რევოლუცია... მთავრობა, ღირსი ამ სახელისა... გარდასახადთა უკეთესად განაწილება... რეფორმები... მეურნეობის დახმარება...

— ძალიან კარგი. როგორი უნდა იყოს სამინისტრო?

— მხნე და ზომიერ პროგრესიული.

— როგორი უნდა იყოს უმრავლესობა?

— შეერთებული.

— რისთვისა ხართ მინისტრად?

— იმისთვის, რომ ჩემ ნათესავებს ორდენები დავურიგო.

— როდის გადადგებით სამსახურიდგან?

— როცა გამომაგდებენ.

— რაი არს მოპოვებული ვითარება?

— რაც ხელში მიჭირავს.

— დაპირება?

— რასაც არ ასრულებ.

— კარგი. მიღებული ხართ მინისტრად.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** საფრანგეთის უკანასკნელს გაზეთებში ცოტა უფრო დაწვრილებით არის მოთხრობილი ცნობები პალატაში გადაგდებულ ყუმბარის ამბავისა.

სწორედ იმ დროს დიდი ლაპარაკი იყო თურმე მირმანის ამორჩევის შესახებ. ის იყო, ახლად ამორჩეულმა დეპუტატმა გაათავა თავისი სიტყვა და პრეზიდენტს მონფორისათვის უნდა მიეცა ლაპარაკის უფლება, რომ საშინელი ხმა გაისმა ყუმბარისა და დარბაზის ერთი ნაწილი კვამლმა მოიცვა.

ისეთი ორონტრიალი ასტყდა, რომ ძნელად თუ მისი აწერა შეიძლებოდეს. დეპუტატები ტელეფონებს ეცნენ, რომ თავიანთი ოჯახები დაემშვიდებინათ, მაგრამ ისეთი არეულობა იყო, რომ ტელეფონების მავთულების გადაბმა ყოვლად შეუძლებელი იყო. თუმცა სხდომა განაგრძეს, მაგრამ დეპუტატები ცოტანი-ღა დარჩნენ.

პრეზიდენტი და პალატის ბიუროს წევრნი ადგილიდგანაც არ დაძრულან, მშვიდად ისხდნენ. როდესაც აღელვებულნი ცოტაოდნად დაწყნარდნენ, დიუპუიმ სთქვა:

— შეიძლება რესპუბლიკის ღირსებასა და პარლამენტს სახელი შებღალოს. ბიურო შეიძლებს ჯეროვან ღონისძიების ხმარებას, პალატას-კი მხოლოდ იმასა სთხოვს, რომ გულმაგრა იყოს (ხანგრძლივი ტაშის ცემაა).

აქეთ-იქით აღელვებული ხმა მოისმის, პრეზიდენტს გაუმარჯოს!

პალატას მოახსენეს, რომ რამდენიმე დეპუტატი დაჭრილია, მათ შორის აბბატი ლემირი და ავე. პალატის მდივანი ბურდონი ოდნავ არის დაჭრილი ხელში. მემარჯვენეთა წევრი ლოპესი მძიმედ არის დაშავებული.

უმრავლესობა. საქმეთა განხილვას დავუბრუნდეთ.

დიუპუი. ბასი განვაგრძოთ. მონფორმა უნდა ჰბრძანოს თავისი სათქმელი.

მონფორმა დაიწყო ლაპარაკი მირმანის ამორჩევის წინააღმდეგ, მაგრამ იმდენს ლაპარაკსა და აღელვებაში თითქმის არა ისმის-რა. პალატამ, 326 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 133, მირმანის არჩევანი კანონიერად ჩასთვალოს.

კაზიმირ პერიე. პალატა მიმიხვდება, რა გრძნობით ვიწყებ ლაპარაკს. ვმადლობ პალატას და მივულოცავ, რომ მან მეისმინა თავისის პრეზიდენტის სიტყვა და განაგრძო საქმეთა განხილვა. პალატამ თავისი მოვალეობა შეასრულა, მთავრობაც ეცდება თავისი ვალი მოიხადოს. ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების დასაცავად კანონები არსებობს და ვეცდებით ეს კანონები გამოვიყენოთ. (ძალიან კარგია!)

დიუპუი. ბ-ნ საბჭოს პრეზიდენტის სიტყვებს ჩემსასაც შევუერთებ. სხდომის დაბოლოვებისათანავე ამ საზიზღარ ბოროტ-მოქმედების მსხვერპლთ ჩვენს თანაგრძნობასა და გულ-შემატკივრობას აღმოვუჩენთ (ხანგრძლივი ტაშის ცემა გაისმის).

ამითი დაბოლოვდა კრება. აფეთქების შემდეგ კრებამ მთელს საათს გასტანა. ყუმბარა ოთხს საათზედ გადისროლეს, სხდომა-კი ხუთს და ბოლოვდა.

### უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ლონდონის სასამართლომ გარჩევა დაიწყო ერთის უცნაურის საქმისა. სამართალში მიცემულნი არიან ორი ქალი, რომელთაც კანონიერად დაუწერიათ ერთმანეთზედ ჯვარი და 27 წლის განმავლობაში ერთად უცხოვრიათ ცოლ-ქმარის სახელით. აი გარემოება ამ საქმისა: ამ ორმოციოდე წლის წინად გარდაცვლილა ვიღაც ვილიამ ჭენრი სმიტ კულნერი. მემკვიდრედ ანდერძით დაუნიშნავს თავისი მეუღლე, იმ პირობით-კი, რომ მეორედ არ გათხოვდესო. თუ ვინიცობაა გათხოვდებოდა, მაშინ სამკვიდრო უნდა გადასცემოდა იმათს უფროსს ქალიშვილს. მიზეზი ეს გაუხდა სასამართლოში საქმის დაწყებას, თუმცა ამ გარემოებას მაგდენად დიდი ადგილი არ უჭირავს ამ საყურადღებო საქმეში. კულნერის ქვრივი ქონების მხრივ დიდს გაჭირვებაში ჩავარდა. მოვალეების მოსაშორებლად ამ ქალმა შემდეგი ხერხი იხმარა: 1865 წელს მამაკაცის ტანთსაცმელი ჩაიცვა და ამ სახით ტფიის ქარხანას ჰმართავდა და შპალიერს ჰყიდდა. რომ უფრო უკეთ აეხვია თვალი მოვალეებისათვის, ერთმა ქ-ნ კულნერის ქალიშვილმა, ამ ჟამად უკვე გარდაცვლილმა, ურჩია თავისს დედას, რომ შენის ქმრის დისწული შეირთე, სოფიო ნიუღინდიო. ამის გამო სოფიო ნიუღინდმა კულინერის ქვრივობა იცისრა და მისთხოვდა ნამდვილს კულინერის ქვრივს, რომელიც ხან ნეკილ სმიტს ირქმევდა და ჯემს სტენლის სახელად. ამ გვარად ისე გამოვიდა, ვითომ სამკვიდრო კულინერის ქალიშვილს გადაეცაო, და მოვალეებმა უფლება დაჰკარგეს თავისის ვალის თხოვნისა. ქალიშვილი-კი მოურიგდა თავისს გამამაკაცებულს დედას, რომ სამკვიდროს შემოსავალს შუაზედ გაგიყოფო. ამ ორმა ქალმა გადიხადეს ქორწილი და ეს უცნაურნი ცოლ-ქმარნი 1885 წლამდე თანხმობით სცხოვრობდნენ. ამ წელიწადს-კი გაშორდნენ ერთმანეთს. 1892 წელს ქ-ნ კულინერის უფროსმა ქალმა საჩივარი დაიწყო და ამტკიცებს: ეხლა შევიტყე, რომ მამიჩემას ანდერძით, თუ დედაჩემი ხელმეორედ დაიწერდა ჯვარს, მემკვიდრე მე შევიქმნებოდიო. არც ის უთქვამს დედაჩემს ჩემთვის, რომ კანონიერად დაიწერა ჯვარი ჯემს სტენლის სახელით სოფიო ნიულანდზედაო.

—

ამას წინად განათავისუფლეს იტალიის ავაზაკთა პატრიარხი. ამ სახელის სწორედ ღირსია ვიღაც გამბერი, რომელიც 1847 წელს დაუმწყვდევიათ კუნძულს პიანოზაზედ კაცის-მკვლელობისათვის. აი 46 წლის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, მხცოვანს ავაზაკს ეს ქვეყანა სულ სხვაფრად ეჩვენებოდა.

—

საფრანგეთის სტატისტიკა განქორწინებათა შესახებ სხვა ქვეყნების სტატისტიკაც მოჰყავს. ყოველ 10,000 ქორწინებაზედ გაუქმებული ქორწინება ირიცხება: ირლანდიაში—1,4; საფრანგეთში—9,87; ინგლისში—13,9; რუსეთში—14,7; შოტლანდიაში—22,5; ნორვეგიაში—28,1; იტალიაში—28,4; ავსტრიაში—41,1; ბელგიაში—54,1; შვეციაში—65,1; პრუსიაში—148,1; საქსონიაში—262,8; დანიაში—371,1; შვეიცარიაში—472 და ჰამბურგში—529,5.

## გასართობი

—

შესანიშნავი ექიმი სულგა ერთხელ ერთს ავადმყოფთან მიიწვიეს, რომელიც გულის დამძიმებითა და ნაღვლიანობით იყო ავად.

— მე თქვენ გირჩევთ, მოწყალეო ხელმწიფევ, წასვიდეთ და მასხარა-ოინბაზის წარმოდგენების ნახვით გული გაართოთ; ამაზედ კარგი საშუალება სხვა არა მოიძებნება თქვენის გულის ნაღვლის გადასაყრელადაო.

სამწუხაროდ ეს ავადმყოფი, იქნება, ერთად-ერთი კაცი იყო, რომელიც ასეთს დარიგებას ვერ გამოიყენებდა, რადგან თითონ იყო მასხარა-ოინბაზი.

—

ერთმა კეთილშობილმა კაცმა მოინდომა თავისის ვალების გადახდა და ჯერ იმათ დაუწყო ფულის მიცემა, რომელნიც იმის პატიოსნებას ენდობოდნენ და ნასესხებ ფულის ბარათი არ ჩამოართმევინათ. ერთხელ ამ კაცს ერთი ხელოსანი ეწვია, ბარათი წარუდგინა და ფულის თხოვნა დაუწყო.

— ფული ჯერ არა მაქვს, ჩემო მეგობარო!

— ნამდვილად ვიცი, ჩემო ბატონო, რომ დღეს დილით ორმოცის თუმანის ვალი გაგისტუმრებიათ და კიდევ გაქვთ დარჩენილი ფული.

— ის ვალი სხვა ვალი იყო, ის კაცი ჩემს პატიოსნებას ენდო და ბარათი არა ეჭირა-რა ხელში.

— ჩემი ვალიც აგეთი გახდება ამ წუთსაო, სთქვა ხელოსანმა და თავისი ბარათი ბუხარში შეაგდო. კეთილშობილი კაცი უყურებდა, როგორ დაიწვა ბარათი.

— მართალს ამბობ, ჩემო მეგობარო, პატიოსნება მაიძულებს, რომ ეხლა-ვე გადაგიხადო ეგ ვალიო, და მაშინვე გადუხადა კიდეც ფული.

—

მაჰმადიანნი უგუნებოდ და უნდობლად აძლევენ ხოლმე პასუხს, თუ ჰკითხეთ რამე იმის სარწმუნოებრივ და ზნეობ-

რიც ჩვეულების შესახებ. ერთხელ სა-ფრანგეთის ერთმა გვთილშობილმა ქალ-მა მეჯლისზედ ოსმალეთის ელჩსა ჰკი-თხა:

— რად დართო მაჰმადმა ნება მის მორწმუნეთ რამდენისამე ცოლი ჰყავდე-თო?

— იმიტომაო, უპასუხა ელჩმა საბ-ქაროდ, რომ რამდენსამე ცოლს აღმო-აჩნდეთ უკელა ის ღირსება, რომელიც თქვენ ერთსა გაქვთ აგრე უცხოდ შეერ-თებულ-შეკონებულიო.

## გამოსადეგი ცნობა

ორიოდე სიტყვა რუსულ ბა-დრიჯნის ძმრის მომზადებაზედ. ჩვენი მემამულენი მარტო ღვინის ძმარ-ზედ არიან დამყარებულნი; ვისაც სა-ხლში ძმარი არა აქვს, ის განგებ ამმა-რებს ღვინოს. ღვინის ძმრის გარდა-კი შეიძლება კაცმა ზევრნაირად გააკეთოს ძმარი, ღვინისაზედ არა ნაკლების ღირ სებისა.

შარშან გაზეთ „ივერიის“ მკითხვე-ლებს ვუამბე, როგორ უნდა მომზად-დეს ვაშლისა და ზღმარტლის ძმარი. ახლა გაცნობ, როგორ უნდა მომზად-დეს რუსულ ბადრიჯნის ძმარი.

დავკრიფე მწიფე ბადრიჯანი, მოვა-ქუჩე ერთ ადგილას, სადაც დარჩა შვი-დი დღე, რომ ბადრიჯანი კარგად დამ-ჟავებულიყო; შვიდ დღეს შემდეგ დამ-ჟავებული ბადრიჯანი ჩავყარე რუსულ საქაჯავში და კარგათ გავქაჯე; ნაქაჯ ბადრიჯნის წვენი ჩავასხი ერთ კათხაში და ზედ დავაყარე ორი დიდი გოდორი, ძალზედ გაქაჯული, თეთრის ყურძნის ჭაჭა; წვენი დარჩა ჭაჭაზედ თხუთმეტი დღე; ამ ხნის განმავლობაში ბადრიჯნის წვენმა ჭაჭაზედ კარგად დაიდუღა, დაჰ-კარგა თავისი გემო და მიიღო ღვინის ძმრის გემო; თხუთმეტ დღეს შემდეგ წვენი გადავსწურე და მივიღე ათი ვე-დრა საუკეთესო ვარდის ფერი ძმარი. წითელ ძმრის დასამზადებლად ბადრიჯ-ნის წვენი უნდა დაასხათ წითელ ყურ-ძნის ჭაჭაზედ.

ამ ჩემმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ბადრიჯნის ძმარი არაოდეს არ დაუვარდება ღირსებით ნამდვილ ღვინის ძმარს.

## სასამართლოს მატიანე

### კონდუქტორის ქიქოძის საქმე

6 დეკემბერს, რომელიც უკანას-კნელი ვადა იყო კონდუქტორ ქიქო-ძეს საქმეზედ საკასაციო საჩივრის შე-სატანად, ქიქოძეს დამცველმა კაპი-ტანმა კოვალიევმა სამხედრო ოლქის სასამართლოში წარადგინა საკასსა-ციო საჩივარი მთავარ-სამხედრო სა-სამართლოში გადასაცემად. ამ საჩი-ვარში კაპიტანი კოვალიევი შუამ-დგომლობს შეცვლას 4 დეკემბრის გა-ნაჩენისას და საქმის სამოქალაქო სა-სამართლოში გადაცემას. ამ შუამ-დგომლობის საბუთად ბ-ნს კოვა-ლიევს შემდეგი მოსაზრებანი მოჰ-ყავს: 13 სექტემბერს უმაღლესის ბრძანების თანახმად ქიქოძეს საქმე გარდაცემულ ექმნა სამხედრო ოლქის სასამართლოს ომიანობის დროს კა-ნონთა მე-2 ნაწ. მე-1459 მუხლის ძალით, სამხედრო წესდების მე-279 მუხლის თანახმად გადაეწყვიტა ყო-ველისავე უფლების ჩამორთმევა და სიკვდილი ჩამოხრჩობით და იმასვე და-აკისრა სასამართლომ სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯი. რადგან ჟანდარმის გრუზინის მოკვლა, რო-მელიც ბრალად ედება კონდუქტორს ქიქოძეს, 8 სექტემბერს მოხდა, რო-დესაც ზემოხსენებული კანონი ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული და მთავარ-მართებელს არა ჰქონდა რწმუ-ნებული თავისის ნებით გადაეცა, რომელისამე სისხლის სამართლის სა-ქმე სამხედრო სასამართლოსათვის, ამიტომ ეს საქმე სამოქალაქო სასა-მართლოს მიერ უნდა იქმნას გარჩე-ულიო. კაპიტან კოვალიევის აზრით, ახალი კანონი ძველს დანაშაულს ვერ დასჯისო.

ამ საკასაციო საჩივარის გარჩევამ-დე, ქიქოძე დაპატიმრებულია და ხელსა და ფეხში ბორკილი აქვს გა-ყრილი.

## დეპეშა

7 დეკემბერი

**პალერმო.** მონრეალის მომუშა-ვეებმა გუშინ მანიფესტაცია გაჰმა-რთეს. ჰყვიროდნენ „არ გვინდა საქა-ლაქო მმართველობა, არ გვინდა დამოქნის დარაჯნი.“ ჯარმა რამდენიმე კაცი დააპატიმრა, მაგრამ მომუშა-ვეები ყაზარმებს დაეცნენ. 5 ჯარის-კაცი დაჭრილია, 12 მომუშავე ოდ-ნავ არის დაშავებული. ჯარს თოფი არ დაუცლია. 32 კაცი დაპატიმრებუ-ლია და პალერმოში ჩამოიყვანეს. დღეს კვლავ სცადეს მომუშავეებმა მანიფესტაციის გამართვა, აფიცრე-ბი და პოლიცია ჩაერია საქმეში და ხალხი გაჰფანტა. ქალაქის მმართვე-ლი სამართალშია მიცემული.

**ბერლინი.** ახალის ანარხისტთა წინაალმდეგ შემოღებულის კანონით, კატორგაში იქმნება გაგზავნილი, ვინც სხვას დანაშაულის ჩასადენად წააქეზებს, ისეთის დანაშაულის ჩა-სადენად, რომელიც ადამიანის სი-ცოცხლისათვის საშიში იქმნება; ამავე თქმულ საშუალებითა ბორო-ტად ხმარებისათვის დამნაშავეს კა-ტორგა ექმნება გადაწყვეტილი 10 წლიდგან სიკვდილამდე; ვისაც ეცო-დინება განზრახულ დანაშაულის ამბა-ვი და დაჰფარავს, საპატიმროში იქმნება დაპატიმრებული. ვინც ხელს წარუმართავს გამრავლებასა ანუ გა-ვრცელებას შემაძრწუნებელ დაბე-ჭდილ ნაწარმოებისას, იმას დიდი ჯარიმა გარდაჰხდება ფულად და, ამას გარდა, საპატიმროშიაც იქმნება და-პატიმრებული.

პეტერბურგის ბირჟა, 7 დეკემბ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,61 | 7,63 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 152 | 152³/₄ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 246¹/₂ |
| მეორისა . . . | | — ,, | 220¹/₂ |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6°/₀. . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## „ივერიის“ ფოსტა

**ყ—ას. ილ. დარ—იას.** თქვენ მიერ გამოგზავნილი 2 მან. მიიღო რედაქციამ და გამოცხადებულ იქმნა 185 ნომერში, ახალ ამბავთა შორის, ხაშურიდამ გამოგზა-ვნილ ფულთან ერთად.


## განცხადებანი

ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის ნებართვით

**ქ. ტფილისში გავმართე „ცნობე-ბის შესაკრები კანტორა“ და წინდადაც ფული შევიტანე.** ამ კანტო-რაში შეიძლება ცნობების შეკრება სახლის დაქირავების შესახებ და აგრეთვე მზარეულისა, მოსამსახურისა, ძიძისა, მასწავლებელისა, მასწავლებელ-ქალისა. აღმზრდელ-ქალისა, მე-ეტლისა და სხვათა გამო, რომელნიც სამ-სახურში სადმე აპირებენ შესვლას. ვინც თავისს განცხადებას შემოიტანს ადგილის მსურველთაგანი 30 **კაპ. გადაჰხდება**, ვინც ამ კანტორის შემწეობით დაიქირავებს მსახურს—50 კაპ.

**კანტორა იმყოფება** სათავად-აზნაუ-რო საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლაში, **ლანკოს** მაღაზიისა და ცენტრალურ წიგნთ-საცავის გვერდით. **სხვა ქალაქე-ბიდგან** ვთხოვთ ამ ადრესით მოგვმართონ. კანტორა ღიაა დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 4-დგან 7 საათა-მდე. (5—4)

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—134)







## გამოსადეგე ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმის ნავასარდიანისა

(გუგიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულე-ბანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სი-ფილისი).

**ე. მ. ჩიქოანი,** 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვე-ბისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10¹/₂—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბა-ვშვეისა და. დედათა სქესისა.

**ი. ფ პროტასევიჩი;** 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12¹/₂—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

**ი. გ. ჩეპურკოვსკი,** 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერ დისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. გურკო,** 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილი-სი) და ვენერიული.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7¹/₂ საათამდის.

**ქ. ი. ფრანციუსი,** 7—7¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.


## „ივერია“

ამ 1894 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრეს-ზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანა-თი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნე-ბა. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვა-ლობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მო-ითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც და-ბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერები-სა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7¹/₂ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოოზის ქუჩაზე, 21.

Доз. ценз. Тифлисъ, 8-го Декабря 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე